საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

დაკავებულთა უფლებების დაცვა ეფექტიანი საპოლიციო პროცედურების ჩამოყალიბებით

დაკავებულთა უფლებების დაცვა ეფექტიანი საპოლიციო პროცედურების ჩამოყალიბებით

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

თბილისი
2023

გამოცემის ხელმძღვანელი: ნონა ქურდოვანიძე

ავტორები: შორენა ლოლაძე
რიდ ჯექსონი

რედაქტირება და ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

1. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა 5

1.1. პრაქტიკაში ზოგიერთი პროცედურული უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები 8

2. სხვა ქვეყნების გამოცდილება 9

2.1. გაერთიანებული სამეფოს (ინგლისი და უელსი) კანონმდებლობის მიმოხილვა 9

2.2. ამერიკის შეერთებული შტატები - ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი 11

2.3. კანადა 14

3. რეკომენდაციები 18

შესავალი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული აქტია, რომელიც არსებით პრობლემებს ქმნის ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და არ ითვალისწინებს ამ კუთხით მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. წლებია, დღის წესრიგშია ამ კოდექსის ფუნდამენტური რეფორმის საჭიროება, თუმცა, სახელმწიფო, რეფორმაზე მუშაობის დაწყების ნაცვლად, ინტენსიურად იყენებს რეპრესიულ კანონმდებლობას მოქალაქეთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით, შეკრებისა და გამოხატვის უფლებების შეზღუდვის საფუძვლად და კიდევ უფრო ამკაცრებს კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას,[1] ახანგრძლივებს ადმინისტრაციული წესით დაკავების ვადებს და სხვ.[2]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (შემდეგში - საია) მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ასობით ადამიანი მიმართავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის ფარგლებში იურიდიული დახმარების მიღების მიზნით. საიას ადვოკატები მათ დაცვას ჯერ კიდევ ადმინისტრაციული დაკავებისას იწყებენ. ამგვარ საქმეებზე მრავალწლიანი მუშაობის პროცესში იდენტიფიცირებულია არაერთი სისტემური საკანონმდებლო თუ პრაქტიკული პრობლემა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე სასამართლოს მიერ უფლებამოსილებების განხორციელებისას.[3]

მნიშვნელოვანია, ადამიანს ადმინისტრაციული დაკავების პირველივე წუთებიდან ჰქონდეს უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის შესაძლებლობა, რათა ამ პროცესში რომელიმე ცალკეული უფლების ხელყოფამ გავლენა არ მოახდინოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგზე.

მართალია, კანონმდებლობა ადგენს არაერთ პროცედურულ უფლებას, თუმცა პრობლემურია პრაქტიკაში მათი რეალიზება სამართალდამცავი უწყების მხრიდან შექმნილი ხელოვნური ბარიერების გამო. ამდენად, ამ დოკუმენტის მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის რეკომენდაციების შეთავაზება ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ზოგიერთი პროცედურული უფლების ჯეროვნად განხორციელების თაობაზე. **დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციები, კონკრეტულად, შეეხება: დაკავებულის ურთიერთობას ადვოკატებთან, მისი ადგილსამყოფლის დადგენას და ზარის განხორციელების საკითხებს.**

[1] საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 21.04.2021, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5160023?publication=0#DOCUMENT:1.

[2] იქვე.

[3] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა, რეფორმის დაუსრულებელი მცდელობები და წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/news/GetFileAttachment-2.pdf, მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/2020/.

1. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა, მისი პირადი თავისუფლების უფლება ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია[4] და როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე საგანგებო დაცვას ექვემდებარება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი ადგენს პროცესუალურ გარანტიებს იმ პირის მიმართ, რომელსაც სახელმწიფო მართლწესრიგის უზრუნველყოფის, საზოგადოების ან/და მისი კონკრეტული წევრის დაცვის მიზნით უპირისპირდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის საფუძველზე, ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ მატერიალური ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით.[5]

ადმინისტრაციული დაკავება ექცევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების სფეროში. აღსანიშნავია, რომ ამ კონვენციის 5.1. მუხლის a-f ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების შეზღუდვა, ცალკე არ მიუთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ასპექტებზე. თუმცა, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადასტურებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი დაკავშირებულია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებასთან.[6] კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის, ტერმინები „დაკავება“ და „დაპატიმრება“ მოიაზრებს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც პირს თავისუფლებას უზღუდავს - მნიშვნელობა არ აქვს, რა სახელი ეწოდება მას ეროვნულ კანონმდებლობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსსკ) 38-ე მუხლი დაკავებულს ანიჭებს უფლებას, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში ამ ფაქტის შესახებ თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს.[7] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლიც სსსსკ-ის 38-ე მუხლის მსგავს ვალდებულებას ადგენს, თუმცა - ოდნავ განსხვავებული ფორმულირებით. კერძოდ, ადმინისტრაციული წესით დაკავებულს უფლება აქვს, „მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.“[8]

ადმინისტრაციული დაკავება პირის უფლებებში ჩარევის ინტენსიურ ფორმას განეკუთვნება. ამის გამო, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს იმ უფლებებს, რომლე-

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1,6,15.

[6] იხ. მაგ. S., V. and A. v. Denmark [GC].

[7] „საქართველოს კონსტიტუცია“, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 2022 წლის 25 ნოემბერს მოქმედი რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/30346. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 2022 წლის 25 ნოემბერს მოქმედი რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/90034.

[8] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245, პირველი ნაწილის გ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/28216.

ბითაც დაკავებული სარგებლობს. კონსტიტუციით მკაცრად არის შემოსაზღვრული სახელმწიფოს სამოქმედო არეალი, მისი ძალაუფლების საპირწონედ კი, ინდივიდი ისეთი პროცესუალური უფლებებით არის აღჭურვილი, რომლებიც მას სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისგან დაიცავს.[9] იმავდროულად, პირის დაკავებასთან დაკავშირებით არსებული კონსტიტუციური გარანტიები ვრცელდება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებულ იმავე ურთიერთობაზე.[10]

კონსტიტუციის მიღმა, ის სახელმძღვანელო წესები, რომლებითაც პირის დაკავების შემდგომ უფლებამოსილი ორგანო მოქმედებს, გაწერილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. კერძოდ, დასახელებული აქტის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, პირს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს:

ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი;

ბ) რომ აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი;

გ) რომ აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში, დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.[11]

იმავდროულად, არასრულწლოვანის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე ეცნობება მის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.[12] დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ განმარტების მიღებამდე გააკეთა.[13] დასახელებული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ ძირითადი პრინციპების გამოკვეთა, რომელთა მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო დაკავებისას მოქმედებს.

- **დაკავებულ პირს უნდა განემარტოს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი:** ნებისმიერმა დაკავებულმა უნდა იცოდეს, რატომ შეეზღუდა თავისუფლება.[14] პირი, რომელსაც უფლება აქვს, სამართალწარმოების ფარგლებში დროულად განისაზღვროს მისი დაკავების კანონიერების საკითხი, ამ უფლებას ეფექტიანად ვერ გამოიყენებს, თუ მას დროულად და ადეკვატურად არ ეცნობება მიზეზი, რატომ აღეკვეთა თავისუფლება.[15] იმავდროულად, იყო თუ არა ინფორმაცია სათანადოდ მიწოდებული, უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეზე კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით.[16] მხოლოდ დაკავების სამართლებრივ საფუძველზე მითითება არ არის საკმარისი.[17] დაკავე-

[9] საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადება.
[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415, 04.02.2005წ. №2/1/263 გადაწყვეტილებები.
[11] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[12] იქვე, მე-2 ნაწილი.
[13] იქვე, მე-3 ნაწილი.
[14] Khlaifia and Others v. Italy [GC], § 115.
[15] Van der Leer v. the Netherlands, § 28; Shamayev and Others v. Georgia and Russia, § 413; Grubnyk v. Ukraine, §§ 97 and 99.
[16] Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40.
[17] Murray v. the United Kingdom [GC], § 76; Kortesis v. Greece, §§ 61-62.

ბულ პირს მარტივი, მისთვის გასაგები ენით უნდა აცნობონ დაკავების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რათა მან შეძლოს, თუ საჭიროდ მიიჩნევს, მიმართოს სასამართლოს და გაასაჩივროს დაკავების კანონიერება.[18] პრაქტიკაში, დაკავებულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არ იცოდნენ, რატომ დააკავეს.[19] მათ, როგორც წესი, ჯეროვნად არ განუმარტავენ დაკავების საფუძვლებს და მათ უფლებებს.[20]

- **დაკავებულ პირს უნდა განემარტოს, რომ აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი:** ადვოკატის ყოლის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითაც, რომელიც ადგენს, რომ პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.[21] ამ ნორმასთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, ეს დანაწესი არ ადგენს საქმეზე დამცველის დაშვების კონკრეტულ ვადას, მაგრამ, ნორმის არსიდან გამომდინარე, საჭიროა, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარების შესახებ დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ, მაქსიმალურად გონივრულ დროში.[22] თუმცა, პრაქტიკაში ხშირად იკვეთება შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირისთვის ადვოკატის გამოყოფა დროულად არ ხდება. ეს უფლება ფერხდება არა ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, არამედ ხელოვნური ბარიერების გამო. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში, როდესაც დაკავებული პირი მოთავსებულია სამართალდამცავი ორგანოს მანქანაში, ადვოკატს არ ეძლევა შესაძლებლობა, შეხვდეს მას დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე. იმავდროულად, ამგვარი დაბრკოლება ხელოვნურად იქმნება.
- **დაკავებული პირის უფლება, სურვილის შემთხვევაში, დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას:** ეს დებულება მნიშვნელოვანია დაცვის უფლების რეალიზების თვალსაზრისითაც. კერძოდ, როგორც წესი, სწორედ დაკავებულის ახლობლები უზრუნველყოფენ მას ადვოკატის დახმარებით. ამის საპირისპიროდ, პირებს ხშირად ეზღუდებათ ზარის განხორციელების უფლება.[23] ზოგ შემთხვევაში, მათ არ აქვთ ოჯახის წევრებისთვის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა და არც ის იციან, თავად პოლიციამ შეატყობინა თუ არა მათ ამის თაობაზე.[24]
- **პირს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით უნდა განემარტოს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკავების საფუძველი, ადვოკატის**

[18] Khlaifia and Others v. Italy [GC], § 115; J.R. and Others v. Greece, §§ 123-124; Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40; Murray v. the United Kingdom [GC], § 72.

[19] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წ. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf.

[20] დაკარგული თვალის მიღმა (20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება), გვ. 76-77, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/news/pdf.

[21] საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182, 185, 191 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[23] იხ. სქოლიო 20, გვ. 77.

[24] სახალხო დამცველი ეხმიანება 2019 წლის 18 ნოემბერს პარლამენტთან აქციის დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებს. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkhodamtsveli-ekhmianeba-2019-tslis-18-noembers-parlamenttan-aktsiis-dros-dakavebuli-pirebis-sasamartlo-protsesebs.

ყოლის, ასევე, მისი დაკავების ფაქტისა და ადგილსამყოფლის შესახებ ახლობლის ინფორმირების უფლება: დაკავებისთანავე ინფორმაციის მიწოდება ნიშნავს ამ უფლებების დაუყოვნებლივ განმარტებას. იყო თუ არა ინფორმაცია მიწოდებული დაუყოვნებლივ, უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეზე მისი კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით.[25] იმავდროულად, დაკავებულს ინფორმაცია უნდა გადასცენ მარტივი, მისთვის გასაგები, არატექნიკური ენით.[26]

- **დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ განმარტების მიღებამდე გააკეთა:**[27] ნებისმიერი ჩვენება, აღიარება, რომელიც დაკავებულმა პირმა განმარტებების მიღებამდე გააკეთა, კანონმდებელი დაუშვებელ მტკიცებულებად აცხადებს.

1.1. პრაქტიკაში ზოგიერთი პროცედურული უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები

- პრობლემურია ადვოკატებისა და ოჯახის წევრების მხრიდან დაკავებული პირების ადგილსამყოფლის დადგენა და, შესაბამისად, მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღება;
- გარკვეულ შემთხვევებში, დაკავებულები გადაჰყავთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს კიდევ უფრო ართულებს მათთან ადვოკატების შეხვედრას, ვინაიდან არ არსებობს დაკავებულთა ადგილსამყოფლის დადგენის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა. ამის გამო, ხშირად საჭირო ხდება მათი მოძებნა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა იზოლატორში ფიზიკურად მისვლით;
- გარკვეულ შემთხვევებში, დაკავებულებს არაგონივრული ვადით აყოვნებენ პოლიციის ავტომობილებში, რა დროსაც მათ ასევე არ აქვთ ადვოკატებსა თუ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა;
- თუ პირი არასამუშაო დროს გადაჰყავთ შსს-ს ადმინისტრაციულ შენობაში, ზოგჯერ ადვოკატი ვერ ახერხებს მის მონახულებას, რადგან შენობაში შესასვლელად საჭიროა დამატებითი საშვი, რომელიც არასამუშაო პერიოდში არ გაიცემა;
- ხელოვნური ბარიერების გამო, გართულებულია დაკავებულის კომუნიკაცია ადვოკატებთან. ზარის უფლება შეზღუდულია დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის პერიოდშიც.
- პრობლემურია სასამართლო სხდომამდე იმ დაკავებულთა შეხვედრა ადვოკატებთან, რომლებიც სამართალდამცავებს იზოლატორიდან პირდაპირ გადაჰყავდათ სასამართლოში. ადვოკატების მოთხოვნის მიუხედავად, ისინი პროცესის გახსნამდე თავიანთ მარწმუნებლებს ვერ ხვდებიან და კომუნიკაცია უწევთ სასამართლო სხდომის დარბაზში სამართალდამცავებისა და გარეშე პირების თანდასწრებით.

[25] Khlaifia and Others v. Italy [GC], § 115; Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40; Murray v. the United Kingdom [GC], § 72.
[26] იქვე.
[27] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

2. სხვა ქვეყნების გამოცდილება

პოლიციის მიერ დაპატიმრებულთა/დაკავებულთა უფლებების დაცვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გარკვეულ ხარვეზებთან არის დაკავშირებული. დოკუმენტის მიზნებისთვის, მოვიკვლიეთ რამდენიმე ქვეყნის რეგულაციები დაკავებულთა უფლებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სამართლებრივი სისტემები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, მათი იურისდიქციების შედარებით დგინდება, რომ ყველა სამართლებრივი სისტემა იზიარებს გარკვეულ პროცედურებს და ამ პროცედურებისთვის დამახასიათებელ ერთიან კონცეფციას, რომელთა ინტეგრირება ქართულ იურისდიქციაში დაკავებულთა/დაპატიმრებულთა უფლებების დაცვის პროცესში სასარგებლო იქნება. ზემოხსენებულ ქვეყნებში გამოყენებული სამართლებრივი პროცედურების კვლევა აჩვენებს, რომ კანონის აღსასრულებლად ეფექტიანი მექანიზმების შექმნა აძლიერებს თავად ამ კანონს. ხოლო, თუ სისტემურად არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულება/უფლება, არც შესაბამისი საპოლიციო პროცედურები იქმნება.

2.1. გაერთიანებული სამეფოს (ინგლისი და უელსი) კანონმდებლობის მიმოხილვა

ინგლისსა და უელსში პოლიციის დეპარტამენტების ეთიკისა და ქცევის ნორმების უმრავლესობას „პოლიციისა და კრიმინალური მტკიცებულების აქტი (PACE) 1984 კოდექსი“ (შემდგომში - „პოლიციის აქტი“) არეგულირებს. ეს კოდექსი ექსპლიციტურად განსაზღვრავს დაკავებულის უფლებას, მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება, ან დაუკავშირდეს ადვოკატს და აცნობოს ოჯახის წევრს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დაკავების ფაქტის შესახებ.

„პოლიციის აქტის“ „C“ კოდექსის 3.1. მუხლის მიხედვით, „როცა დაპატიმრებული/დაკავებული პირი მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში ან პირი თავად მიდის იქ დანაშაულის აღიარების მიზნით და მას აკავებენ/აპატიმრებენ, ზედამხედველი ოფიცერი[28] ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ პირმა ზუსტად იცის თავისი უფლებები“.[29] პროცედურა ითვალისწინებს „სასარგებლო განმეორებადობას“ (ფაქტის დასადასტურებლად, პოლიციელის მიერ რამდენიმე ტიპის მტკიცებულების შექმნის ვალდებულება). იმ შემთხვევაში, თუ პირს აპატიმრებენ განყოფილების გარეთ, მას თავისი უფლებები უნდა განემარტოს როგორც დაკავების დროს, ისე განყოფილებაში მიყვანის შემდეგ.

ზემოხსენებული უფლებები, სხვა დანარჩენთან ერთად, მოიცავს:

- მესამე პირებისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფლებას;
- ადვოკატთან შეხვედრისა და უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებას.

[28] თანამდებობა გაერთიანებულ სამეფოში.

[29] „პოლიციისა და კრიმინალური მტკიცებულების აქტი 1984“ (PACE) C კოდექსი, GOV.UK, November 4, 2022 (შემდგომში - „პოლიციის აქტი C კოდექსი 2019“), ხელმისაწვდომია: https://www.gov.uk/government/publications/pace-code-c-2019/pace-code-c-2019-accessible.

დაკავებულს/დაპატიმრებულს ეს უფლებები აუცილებლად წერილობით უნდა განემარტოს. ამის შემდეგ მას პოლიციელი სთხოვს, რომ უფლებების თაობაზე წერილობითი ცნობის მიღება „პატიმრობის ჩანაწერზე“ (საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში მომხდარი ყველა მოვლენა, რომელსაც აღრიცხავს ზედამხედველი ოფიცერი) ხელმოწერით დაადასტუროს. ხელმოწერაზე უარი ასევე აისახება პატიმრობის ჩანაწერში. დაკავებულის მიერ ხელმოწერაზე უარის აღრიცხვის ვალდებულება „სტიმულს“ აძლევს პოლიციელებს, დარწმუნდნენ, რომ დაკავებულს ნამდვილად მიეწოდა ინფორმაცია.

გარდა იმისა, რომ პოლიციელმა პატიმარს უნდა დაადასტურებინოს მისი უფლებების თაობაზე წერილობითი ფორმით ინფორმაციის მიღება. პატიმრობის ოფიცრის ან საპატიმრო დაწესებულების სხვა თანამშრომლების ვალდებულებაა:

(ა) დააზუსტონ დაკავებულ პირთან, იმ მომენტში სურს თუ არა:

(i) მიიღოს იურიდიული კონსულტაცია

(ii) შეატყობინოს ვინმეს მისი დაკავების თაობაზე

(ბ) სთხოვონ დაკავებულს, რომ „საპატიმრო ჩანაწერზე“ ხელმოწერით დაადასტუროს თავისი გადაწყვეტილება ზემოხსენებული შეთავაზებების თაობაზე.[30]

<u>იურიდიული მომსახურების მიღების უფლება</u>

დაკავებულს უნდა განემარტოს, რომ მას აქვს უფასო იურიდიული მომსახურების მიღების უფლება როგორც დაპატიმრებისას, ისე პოლიციის განყოფილებაში დაკითხვამდე.[31] საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, უფასო იურიდიული დახმარება პირმა უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ. „პოლიციის აქტის“ 6.1. კოდექსის მიხედვით, „თუ დაკავებული უარს ამბობს ადვოკატთან პირადად შეხვედრის უფლების გამოყენებაზე, ოფიცერმა მას უნდა აუხსნას, რომ იურიდიული მომსახურების მიღების უფლება მოიცავს ადვოკატთან ტელეფონზე გასაუბრებასაც“.[32]

თუ დაკავებული კვლავ უარს ამბობს ზემოხსენებული უფლების გამოყენებაზე, ოფიცერმა მას უნდა გამოჰკითხოს უარის მიზეზ(ებ)ი და ნებისმიერი მიზეზი აღრიცხოს („პატიმრობის ჩანაწერსა“ ან გამოკითხვის ოქმში). დაკავებული არ არის ვალდებული, განმარტოს იურიდიული მომსახურების მიღებაზე უარის თქმის მიზეზ(ებ)ი.[33] მოკლედ რომ შევაჯამოთ, დაკავებულის მიერ იურიდიული მომსახურების მიღების უფლების დაცვის პროცედურა გამოირჩევა „განმეორებადობით“, დაბალანსებული ადმინისტრაციული ტვირთით და ზედმიწევნითი აღრიცხვის ვალდებულებით. შედეგად, ეს ზღუდავს პოლიციელის ქცევას და უზრუნველყოფს არასასურველი განვითარების, კერძოდ, დაკავებულის უფლებების ნებისმიერი დარღვევის პრევენციას.

[30] იქვე.

[31] „უფლებებისა და თავისუფლებების შეტყობინება: ინგლისური (ხელმისაწვდომი ვერსია)“ GOV.UK, August 20, 2019, ხელმისაწვდომია: https://www.gov.uk/government/publications/notice-of-rights-and-entitlements-english/notice-of-rights-and-entitlements-english.

[32] „პოლიციის აქტი C კოდექსი 2019“.

[33] იქვე.

<u>კომუნიკაციის უფლება</u>

„პოლიციის აქტის“ 5.1. კოდექსის მიხედვით, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა:

ნებისმიერ დაკავებულს/დაპატიმრებულს, რომელიც მოთავსებულია პოლიციის განყოფილებასა ან სხვა ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, უფლება აქვს, მოითხოვოს ერთი ახლობლის ან დაკავებულის მდგომარეობით დაინტერესებული ნებისმიერი პირის ინფორმირება მისი ადგილსამყოფლის შესახებ, სახელმწიფოს ხარჯზე და, რაც შეიძლება, მალე.[34]

ამ უფლების „გამოყენება შეიძლება ყოველ ჯერზე, როცა დაკავებული/დაპატიმრებული პოლიციის სხვა განყოფილებაში გადაჰყავთ“.[35] პატიმრობის ან პოლიციის სხვა ოფიცერი ვალდებულნი არიან, აღწერონ ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა და კომუნიკაციის დეტალები. დაკავებულის/დაპატიმრებულის მიერ მესამე პირის ინფორმირებაზე გაცხადებული უარი აღირიცხება ოფიცრის მიერ, ხოლო დაკავებულს სთხოვენ, ეს ფაქტი ხელმოწერით დაადასტუროს.[36]

დაკავებულის/დაპატიმრებულის კომუნიკაციის უფლება პოლიციელისგან მოითხოვს ამ უფლებასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის ზედმიწევნით აღწერას. მიუხედავად ამისა, დაკავებულის/დაპატიმრებულის მხრიდან ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე უარის აღრიცხვის პროცედურა არ არის ისეთივე მძლავრი, როგორიც - იურიდიული დახმარების მიღებაზე უარის დროს. პროცედურის სისუსტე იმით გამოიხატება, რომ მესამე პირის ინფორმირებაზე უარი მხოლოდ ფაქტის სახით ფიქსირდება ოფიცრის მიერ და დაკავებულის ხელმოწერით დასტურდება. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება იურიდიულ დახმარებაზე უარის დროს მოქმედი კითხვარი. ამასთანავე, „პოლიციის აქტი“ დეტალურად არ აღწერს, რა პროცედურით ამბობს დაკავებული კონკრეტულად კომუნიკაციის უფლების გამოყენებაზე უარს და რა ფორმით ადასტურებს მას - ხელმოწერით თუ სხვაგვარად.

2.2. ამერიკის შეერთებული შტატები - ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი

აშშ-ის კონსტიტუცია იცავს დაკავებულის უფლებებს. სახელმწიფო და მუნიციპალური კანონმდებლობების განსხვავების გამო, საკვლევად შეირჩა ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი, რადგან ის არის ყველაზე დიდი და ერთ-ერთი უძველესი პოლიციის დეპარტამენტი აშშ-ში, კარგად განსაზღვრული პოლიციის კოდექსით.[37] შესწავლილი მასალების ძირითადი ნაწილი მოიცავს ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო სახელმძღვანელო წესებსა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებებს. ფედერალურ დონეზე, აშშ-ში არ არის განმტკიცებული დაკავებულის მიერ ვინმესთვის დაკავების ფაქტის შეტყობინების უფლება, თუმცა ნიუ იორკის შტატში, გამონაკლისების გარდა, ეს უფლება დაცულია.

[34] იქვე.
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] „ანგარიშები და ანალიზი - ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი“, 2022 წლის 25 ნოემბრის რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://www.nyc.gov/site/nypd/stats/reports-analysis/reports-landing.page.

დაკავების პროცესი და მირანდას უფლებები

დაკავებული პირს დაკითხვამდე უნდა განემარტოს მირანდას „გაფრთხილება“, რომელიც მოიცავს (თუმცა, არ შემოიფარგლება):

პოლიციასთან გასაუბრებამდე ადვოკატთან კონსულტაციის გავლის, ნებისმიერი დაკითხვის მიმდინარეობისას ადვოკატის ადგილზე ყოფნის და მისგან რჩევების მიღების უფლებას. პირს ასევე განემარტება, რომ, თუ დაკავებულს არ აქვს ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა, მას სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნება ადვოკატი. ადვოკატთან გასაუბრებამდე პირს აქვს დუმილის უფლება.[38]

№212-123 პროცედურის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან, ნებისმიერი საპოლიციო მოქმედების განხორციელებამდე ჩართონ სამხრე კამერა.[39] საპოლიციო მოქმედება გულისხმობს „ნებისმიერ საპოლიციო საქმიანობას, მათ შორის, კანონის აღსრულებას ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს“.[40] ოფიცრები ვალდებულნი არიან, უწყვეტად გადაიღონ საპოლიციო მოქმედება, მის დასრულებამდე. დაკავების შემთხვევაში, ჩაწერის ვალდებულება გულისხმობს, რომ ოფიცრებმა უნდა გადაიღონ მათი ინტერაქცია დაკავებულთან მანამ, სანამ დაკავების შესახებ ბრძანება არ გამოიცემა.[41]

ოჯახის წევრთან/დაინტერესებული პირთან კომუნიკაციის უფლება დაკავებულს მირანდას უფლებებთან ერთად არ განემარტება. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, ნიუ იორკის შტატში დაკავებულს უფლება აქვს, დაუკავშირდეს ოჯახის წევრს/დაინტერესებულ პირს.

იურიდიული მომსახურების მიღების უფლება

მირანდას უფლებების გაცნობის შემდეგ, თუ დაკავებულს სურს ადვოკატთან გასაუბრება ან იყენებს დუმილის უფლებას, ოფიცერი ვალდებულია, შეწყვიტოს დაკითხვა და დაუკავშირდეს იურისტს დაკავებულის სახელით. თუ ამ უკანასკნელს არ აქვს ადვოკატის აყვანის ფინანსური შესაძლებლობა, მას წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყოფილი ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ადვოკატისა და დაკავებულის გასაუბრება უნდა გაიმართოს შეხვედრის ოთახში და მათ უნდა მიეცეთ გონივრული დრო. ამ პროცესს ვიზუალურად აკვირდება პოლიცია, რათა გამოირიცხოს დაკავებულსა და ადვოკატს შორის ნივთ(ებ)ის მიმოცვლა.

პოლიციის ოფიცერი „დაკავებულთა აღრიცხვის ონლაინ სისტემაში“ (პოლიციელთა სამუშაო სისტემა, რომელიც ნიუ იორკის შტატში მოქმედებს) აღწერს ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის შემდეგ დეტალებს:

---

[38] „ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპოლიციო სახელმძღვანელო წესები: დაკავებული პირის უფლებები. პროცედურა №208-09“ (ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი, 1-ლი აგვისტო, 2013), ხელმისაწვდომია: https://www.nyc.gov/assets/nypd/downloads/pdf/public_information/public-pguide2.pdf (პერიფრაზირებული).

[39] „ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპოლიციო სახელმძღვანელო წესები: სამხრე კამერის გამოყენება. პროცედურა №212-123“ (ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი, 25 ივლისი, 2022), ხელმისაწვდომია: https://www.nyc.gov/assets/nypd/downloads/pdf/public_information/public-pguide2.pdf.

[40] იქვე.

[41] „სამხრე კამერები (BWCs)“, ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის მონიტორინგი, 11 სექტემბერი, 2022, ხელმისაწვდომია; https://www.nypdmonitor.org/popups/body-worn-cameras-bwcs/.

ა. ადვოკატის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ასევე მისი დაცვის ქვეშ მყოფის ვინაობა.

ბ. ჩატარდა თუ არა კლიენტთან გასაუბრება.

გ. განყოფილებაში ადვოკატის მოსვლისა და მის მიერ განყოფილების დატოვების დრო.[42]

ამ პროცედურის რეალური მიზანი დაკავებულის უფლებების დაცვა არ არის, თუმცა მისი მეშვეობით იქმნება ადვოკატთან დაკავებულის შეხვედრის დამდასტურებელი საკვანძო მტკიცებულება. შესაბამისად, პროცედურა, საბოლოო ჯამში, მაინც ემსახურება დაკავებული პირის მიერ ადვოკატის ყოლის უფლების რეალიზებას.

<u>ოჯახის წევრსა ან დაინტერესებულ პირთან კონტაქტი</u>

ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტში დაკავებულისთვის ოჯახის წევრსა ან დაინტერესებულ პირთან კონტაქტის უფლება და მისი გამოყენების პროცედურა მკაფიოდ და ხაზგასმითაა აღწერილი. ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო სახელმძღვანელო წესებში გვხვდება შემდეგი ტექსტი:

განუმარტეთ 16 წელს მიღწეულ ან უფროს დაპატიმრებულს, რომ მას აქვს 3 ზარის უფასოდ განხორციელების უფლება.

1. ერთი ზარი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას აშშ-სა ან პუერტო რიკოში, დანარჩენი 2 ზარი - ქალაქ ნიუ იორკში.

2. სატელეფონო ზარი არ დაიშვება ან ნებისმიერ დროს შეწყდება, თუ ის ხელს უშლის მიმდინარე გამოძიებას ან სამართლებრივ დევნას, აზიანებს მართლმსაჯულებას ან ქმნის სხვაგვარ საფრთხეს.

3. განახორციელეთ ზარი დაპატიმრებულის ნაცვლად იმ შემთხვევაში, თუ დაპატიმრებული არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფება ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად.

შეატყობინეთ ახლობლებს ან მეგობრებს, თუ 19 წლის ან უმცროსი პირი გადაყვანილია საავადმყოფოში ან ემოციურად არასტაბილურ მდგომარეობაშია.

1. თუ პირის ახლობლებსა ან მეგობრებთან დაკავშირება ვერ ხერხდება, მოამზადეთ „დაკარგულ-ამოუცნობ პირზე ანგარიში“ (PD 336-151), შეატყობინეთ ამის შესახებ უბნის დეტექტივთა ჯგუფს და „დაკარგულ პირთა რაზმს“.

ა. თუ ახლობლის ან მეგობრის ინფორმირება ხდება „დაკარგულ-ამოუცნობ პირზე ანგარიშის“ მომზადების შემდგომ, ამის შესახებ შეატყობინეთ დეტექტიურ ჯგუფს და „დაკარგულ პირთა რაზმს“.[43]

ამდენად, დაკავებულს აქვს 3 ზარის უფლება, ხოლო პოლიციას შეუძლია, თავისი გადაწყვეტილებით შეზღუდოს კონკრეტული ზარები. გარკვეული გარემოებების არსე-

[42] „ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპოლიციო სახელმძღვანელო წესები, პროცედურა №208-09“, 1-ლი აგვისტო, 2013.

[43] „ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის საპოლიციო სახელმძღვანელო წესები, პროცედურა №208-03“, 24 მაისი, 2022.

ბობისას, ოფიცერი ვალდებულია, დაკავებულის ახლობლებს ან მეგობრებს თავად მიაწოდოს ინფორმაცია, ხოლო თუ დაკავშირება ვერ ხერხდება, უნდა მოამზადოს „დაკარგულ-ამოუცნობ პირზე ანგარიში“. დაკავებულის მიერ განხორციელებული ზარები პოლიციის ოფიცერმა უნდა ასახოს „დაკავებულთა აღრიცხვის ონლაინ სისტემაში“.

ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტის პროცედურები მნიშვნელოვნად განსხვავდება გაერთიანებული სამეფოს „პოლიციის აქტის“ კოდექსისგან. გაერთიანებულ სამეფოში დაკავებულს აქვს ექსპლიციტური უფლება, არ აუკრძალონ კომუნიკაცია, ხოლო აშშ-ში ეს უფლება ფედერალურ დონეზე არც კი არსებობს. ნიუ იორკის შტატის კრიმინალური (სისხლის სამართლის) კანონი ადგენს, რომ დაკავებულს აუცილებლად უნდა მიეცეს ახლობელსა ან მეგობართან დაკავშირებისა და დაკავების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ზარის განხორციელება ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიებას ან ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ დევნას.[44]

2.3. კანადა

კანადაში არ არსებობს უნიფიცირებული ნორმები (პრაქტიკა), რომლებიც დაკავებულს უფლებას აძლევს, შეატყობინოს ოჯახის წევრს ან დაინტერესებულ პირს მისი დაკავების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ზედამხედველი ოფიცრის ან სხვა პოლიციელის გადაწყვეტილებით, დაკავებულს შეიძლება მიეცეს ამის უფლება.[45]

ისევე, როგორც გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში, იურიდიული მომსახურების მიღების უფლება კანადაშიც არსებობს, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმომადგენლობის ფარგლები, გარდა ადვოკატთან პირველადი გასაუბრების ნაწილისა. ერთ-ერთი ავტორი „ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის“ ადამიანის უფლებათა სტატიაში უთითებს, რომ „კანადაში, ზოგადად, დაპატიმრებულებს გარანტირებული აქვთ ადვოკატთან მხოლოდ ერთი კონსულტაციის უფლება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, გულისხმობს მოკლე სატელეფონო ზარს პოლიციის განყოფილებიდან. პოლიციას უფლება აქვს, დაუსრულებლად დაჰკითხოს დაკავებული მაშინ, როცა ამ უკანასკნელს შეზღუდული აქვს კომუნიკაციის უფლება“.[46]

<u>იურიდიული დახმარების უფლება</u>

კანადის პოლიციას აქვს შემდეგი კანონისმიერი დებულებების დაცვის ვალდებულება:

1. *ოფიცერმა უნდა განუმარტოს დაკავებულს, რომ უფლება აქვს, დაენიშნოს სახაზინო ადვოკატი და დაუყოვნებლივ მიიღოს მისგან იურიდიული დახმარება;*

[44] „კრიმინალური (სისხლის) სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 140 - დაკავება ორდერის გარეშე“, 140, 2022 წლის 25 ნოემბრის რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://ypdcrime.com/cpl/article140.php.

[45] „შენი უფლებები - დაპატიმრება და დაკავება“, 2022 წლის 25 ნოემბრის რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://www.creejustice.ca/index.php/ca/laws/your-rights-under-the-law#who-can-i-contact.

[46] „ალარდის“ სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების კლინიკა, „ადვოკატის ყოლის უფლება: დროა, კანადამ დაუშვას ადვოკატები დაკითხვის ოთახში - „ალარდის“ სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების კლინიკა“, 2021 წლის 29 ნოემბერს მოქმედი რედაქცია, ხელმისაწვდომია: https://blogs.ubc.ca/ijhr/2021/11/29/the-right-to-counsel-its-time-for-canada-to-allow-lawyers-in-the-interrogation-room/.

2. *თუ დაკავებული გადაწყვეტს ამ უფლების გამოყენებას, ოფიცერი ვალდებულია, გონივრული ფორმით უზრუნველყოს მისი რეალიზაცია, გარდა სასწრაფო ხელშემშლელი და სახიფათო გარემოებების არსებობისა;*

3. *ოფიცერი ვალდებულია, თავი შეიკავოს დაკავებულისგან მტკიცებულების მოპოვებისგან მანამ, სანამ დაკავებულს არ ექნება ადვოკატთან გასაუბრების რაციონალური შესაძლებლობა, გარდა სასწრაფო ხელშემშლელი და სახიფათო გარემოებებისა.*

კანადაში მოქმედ სამართლებრივ დებულებებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იურიდიული დახმარების სწრაფად მიღებაზე, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, რომლებიც მოიცავს ოფიცრის უსაფრთხოებას და სხვა შეზღუდვებს.

როგორც კი დაკავებული მოითხოვს იურიდიულ დახმარებას, ოფიცერი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზაციას შეფერხების გარეშე. ოფიცერი ასევე ვალდებულია, გადადოს დაკითხვა ან მტკიცებულების სხვა ფორმით მოპოვების მცდელობა მანამ, სანამ დაკავებულს არ მიეცემა ადვოკატის დაქირავებისა და მასთან გასაუბრების სათანადო შესაძლებლობა. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი არის დაკავებულის ცალსახა უარი ამ უფლების გამოყენებაზე.[47]

<u>ტორონტოს პოლიციის პროცედურები სამართლებრივ დახმარებაზე</u>

ტორონტოს საპოლიციო პროცედურების პირველი თავი „დაკავება და გათავისუფლება“ ცალსახად ადგენს სახელმძღვანელო მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებულის მიერ იურიდიული დახმარების უფლების გამოყენებას.

დაკავებული პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის გარდა, დამკავებელი ოფიცერი ვალდებულია:

- *დარწმუნდეს, რომ პირი ინფორმირებულია ადვოკატის დაქირავების უფლების შესახებ, მათ შორის, სახაზინო ადვოკატისა და იურიდიული დახმარების სერვისისგან უფასო იურიდიული რჩევის მიღების შესაძლებლობის თაობაზე;*
- *დარწმუნდეს, რომ პირს მაქსიმალურად სწრაფად მიეცეს რაციონალური წვდომა ტელეფონზე, ხოლო, თუ ზარი ვერ ხორციელდება, ადრესატის ტელეფონის ნომერი აღირიცხოს დაკავებულთა საკნის მენეჯმენტის მიერ;*
- *იურისტთან სატელეფონო საუბარი უნდა განხორციელდეს პირადად, ისე, რომ მოსმენა ვერავინ შეძლოს.*[48]

დაკავებული პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე აღმრიცხველმა ოფიცერმა უნდა გააქტიუროს ვიდეოთვალთვალის სისტემა (“BHS”). ვიდეოგადაღებამ სრულად უნდა მოიცვას პატიმრის რეგისტრაციის პროცესი.[49] ასევე, ყველა რელე-

[47] „ადვოკატის უფლება დაკავებისა და დაპატიმრებისას - კრიმინალური (სისხლის სამართლის ჟურნალი), 2020 წ. ხელმისაწვდომია:http://criminalnotebook.ca/index.php/Right_to_Counsel_on_Detention_or_Arrest#General_Principles.

[48] ტორონტოს საპოლიციო პროცედურები: თავი 1 - დაპატიმრება და გათავისუფლება (01-03 დაკავებული პირები)“, 28 ივლისი, 2022, ხელმისაწვდომია: https://www.tps.ca/media/filer_public/4c/bb/4cbbb401-9a00-4895-b807-316b0f543684/01-03_persons_in_custody_20220728external.pdf.

[49] „საპოლიციო პროცედურები: თავი 1“.

ვანტური ინფორმაცია უნდა აღირიცხოს წერილობითი ფორმით, შესაბამის ციფრულ საინფორმაციო სისტემებში.

ვიდეოგადაღებისა და „დოკუმენტური კვალის“ შექმნის პრაქტიკა არის განმეორებადობის კიდევ ერთი მაგალითი. ამ ფორმით პოლიციას საშუალება ეძლევა, შექმნას და შეინახოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ დაკავებულს მიეცა (ან არ მიეცა) ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.

<u>დაკავებულის შესაძლებლობა, დაეკონტაქტოს ოჯახის წევრს/დაინტერესებულ პირს</u>:

ტორონტოს პოლიციის პროცედურები სათანადოდ არ არეგულირებს დაკავებულის შესაძლებლობას, დაკავების ფაქტზე ტელეფონით ან სხვაგვარად დაუკავშირდეს დაინტერესებულ პირს. კანადაში მესამე პირთან კომუნიკაცია არ არის დაპატიმრებულთა უფლება, თუმცა პოლიცია ხანდახან აძლევს მათ დარეკვის საშუალებას.[50] ასევე, არსებობს პოლიციელის მიერ დაკავებულის ზარის უფლებით უზრუნველყოფის გარკვეული სამართლებრივი საფუძველი პრეცედენტულ (სამოსამართლო) სამართალში. კერძოდ, თუ დაკავებული ზარის განხორციელებას ითხოვს ცალსახად იმისთვის, რომ საბოლოოდ დაკავების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს ადვოკატს, პოლიციელი ვალდებულია, მისცეს მას ამის საშუალება. თუმცა, ტორონტოს პოლიციის საპოლიციო პროცედურებში არ არსებობს კომუნიკაციის უფლების დაცვის მექანიზმი, გარდა ადვოკატთან დაკავშირების მიზნით ზარის განხორციელების შესაძლებლობისა.

სამივე იურისდიქციისთვის დამახასიათებელი საერთო პროცედურები:

განსხვავებული კანონმდებლობის, უფლებებისა და პრაქტიკების მქონე იურისდიქციებს აქვთ გარკვეული საერთო პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს დაკავებულთა/დაპატიმრებულთა უფლებების დაცვას. მთავარი ამ უფლებათა შორის არის „მტკიცებულებათა განმეორებადობა“, რაც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების/მტკიცებულებების შექმნას, რომლებიც შემდგომში ადასტურებს გარკვეულ ფაქტს. ეს მტკიცებულებებია:

- აუდიო/ვიზუალური ჩანაწერები, რომლებიც აღწერს დაკავებულების ინფორმირებას მათი უფლებებისა და ამ უფლებათა რეალიზების ფორმების თაობაზე;
- წერილობითი ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს, რომ დაკავებული ინფორმირებული იყო თავის უფლებებთან დაკავშირებით და მიეცა მათი გამოყენების შესაძლებლობა. უმჯობესია, ამ ჩანაწერს ხელი მოაწეროს დაკავებულმაც;
- წერილობითი ჩანაწერი, რომელიც ამტკიცებს, რომ დაკავებულმა ცალსახა უარი თქვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავისი უფლებების გამოყენებაზე. ამ ჩანაწერმა უნდა მოიცვას ნებისმიერი მიზეზი, რომლის გამოც, დაკავებულმა უარი თქვა უფლების გამოყენებაზე; უმჯობესია, ჩანაწერის სისწორე ხელმოწერით დაადასტუროს დაკავებულმაც.

პროცედურის სტრუქტურა პოლიციელს უნდა უქმნიდეს მისი დაცვის „სტიმულს“, კერძოდ, მისი დაცვა უფრო მარტივი უნდა იყოს, ვიდრე დარღვევა. ეს არის კიდევ ერთი

[50] „შენი უფლებები - დაპატიმრება და დაკავება“.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამცირებს ოფიცერთა მიერ პროცედურების დარღვევის რისკებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში დაკავებულის მიერ იურიდიულ დახმარებაზე უარს საკმაოდ ვრცელი პროცედურა მოჰყვება. დამკავებელმა ოფიცერმა დაკავებულს უნდა გამოჰკითხოს მიზეზები და თითოეული მათგანი აღრიცხოს. ეს ქმნის ადმინისტრაციულ ტვირთს, რომელიც პოლიციელისთვის შეიძლება ისეთივე შრომატევადი იყოს, როგორიც დაკავებულის ადვოკატთან დაკავშირება. მეორე მხრივ, პროცედურა, რომლის დაცვასაც არარაციონალური ადმინისტრაციული ტვირთი სჭირდება (რთულია), შეიძლება არასასურველი შედეგებით დასრულდეს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტვირთის "შემსუბუქება" პოლიციელთა მიერ დაკავებულის უფლებათა უგულებელყოფის ხარჯზე შეიძლება მოხდეს.აშშ-ის, კანადისა და გაერთიანებული სამეფოს საპოლიციო პროცედურების ერთმანეთთან შედარებით, ნათლად ჩანს, რომ მათი გარკვეული ასპექტები შეიძლება გამოსადეგი იყოს დაკავებულის უფლებათა დაცვის მიზნებისთვის. კერძოდ, ესენია: რამდენიმე ტიპის მტკიცებულებების შექმნა, რომელთა საფუძველზეც დგინდება, მიეცა თუ არა დაკავებულს თავისი უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, ასევე, ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს და „სტიმულს" აძლევს პოლიციის შესაბამის ქმედებას. ეს არის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი კანონის მიზნების მისაღწევად საპოლიციო პროცედურების შემუშავების პროცესში.

3. რეკომენდაციები

დოკუმენტში აღწერილი პრობლემების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დაკავებულის უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. დაკავებულს ჯეროვნად და მისთვის გასაგები ფორმით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ მას აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი. დაკავებულის მოთხოვნა საქმეში ადვოკატის ჩართვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ. უნდა აღმოიფხვრას ხელოვნური ბარიერები ადვოკატებისთვის და უნდა მიეცეთ მათ შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ შეხვდნენ დაკავებულებს. ამ უფლებების განმარტების პროცესი უნდა აღიბეჭდოს ვიდეოფირზე;
2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრის შესაძლებლობა პოლიციის დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით;
3. აღმოიფხვრას დაკავებისას კანონმდებლობით გარანტირებული ზარის განხორციელების შეზღუდვის უკანონო პრაქტიკა. ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა დაკავებულებს უნდა მიეცეთ დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის დროსაც. ამ უფლებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეიქმნას შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი (ოქმი), რომელზეც თავად დაკავებული მოაწერს ხელს;
4. დაკავებულ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განყოფილებაში ან დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის პროცედურების გავლამდეც (შესახლებამდე) შეხვდეს თავისი ინტერესების დამცველ ადვოკატს;
5. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობაში, სამუშაო დღისა და დროის მიუხედავად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური საშვის გარეშე ადვოკატის შესვლა დაკავებულის მოსანახულებლად;
6. პოლიციის დაწესებულებებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახისა ან ადვოკატის შეტყობინების ფაქტის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი ოქმის შედგენით;
7. ადვოკატისა ან/და დაკავებულის ოჯახის წევრისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერ დროს, სატელეფონო რეჟიმში, ცენტრალიზებულად, დაკავებულის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მიღება;
8. აღმოიფხვრას დაკავებული პირების პოლიციის მანქანაში არაგონივრული ვადით დაყოვნების პრაქტიკა და რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანონ ისინი პოლიციის უახლოეს დაწესებულებასა ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.